



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ადამიანის უფლებები ყველასათვის

unicef   
for every child

# სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში

ნოემბერი, 2016 წელი



ადამიანის უფლებები ყველასათვის  
HUMAN RIGHTS FOR ALL

## შინაარსი

დოკუმენტის შესახებ.....	4
მეთოდოლოგია .....	5
თეორიული კონცეფტი.....	7
სიტუაციური ანალიზი.....	11
კვლევის მიგნებები .....	14
კვლევის შედეგები .....	16
სოციალური ნორმების ფორმირების ფონი .....	16
ბავშვის აღზრდისას გავრცელებული სოციალური ნორმები .....	17
რა კვებას / ამყარებს ბავშვთა მიმართ ძალადობას.....	18
ბავშვის სოციალიზაციის პროცესში წარმატებული, მაგრამ ძალადობრივი მოდელების გათავისება / აღება .....	18
ქცევის მოდელების ალტერნატივების არ არსებობა - ტოტალური მოდელების გაბატონება .....	19
მშობლის მიერ ბავშვის პიროვნებად არ აღიარება .....	19
ბავშვისადმი როგორც საკუთრებისადმი დამოკიდებულება .....	19
„კარგი ბავშვის“ აღქმა - ისეთივე როგორც ყველა .....	20
„კარგი ბავშვის“ აღქმა - „კარგი ბავშვი“ უნდა იყოს დამჯერი .....	20
დამოკიდებულება ბავშვის მიმართ - ბავშვი როგორც ინვესტიცია.....	21
აღზრდის ავტორიტარული სტილი .....	21
ძალადობის აღქმის ზღურბლი - განსხვავებული აღქმა არსებობს იმისა თუ რა არის ძალადობა.....	22
ძალადობის აღქმა - ძალადობა ცუდია მაგრამ ხანდახან საჭიროა .....	22
„კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს“ .....	22
ძალადობის მსხვერპლი ამართლებს მოძალადის საქციელს კეთილი ზრახვებით .....	23
აღზრდისას მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირება .....	24
აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ ცოდნის ნაკლებობა.....	24
ბავშვებისადმი დამოკიდებულება პატრიარქალურ საზოგადოებაში.....	25
სხვა მიგნებები.....	25
საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები.....	25
რეფერენტული ჯგუფი.....	26

სად უფრო გავრცელებულია ძალადობა.....	26
ვინაა ოჯახში მოძალადე .....	27
გენდერული განსხვავებები აღზრდაში.....	27
ძალადობა ბავშვთა აღზრდის დაწესებულებებში.....	28
ძალადობაზე რეაგირება / შეტყობინება .....	28
რა ამყარებს ძალადობაზე არ რეაგირების სოციალურ ნორმას.....	29
სხვის საქმეში, სხვის ოჯახში ჩარევა ცუდ ტონად ითვლება (საზოგადოების მიერ გაკიცხვის შიში).....	29
მოძალადის შიში - „გამშველბელს მეტი მოხვდაო“ .....	30
ემპირიული / ფაქტობრივი რწმენები- გამოძახების შემთხვევაში პოლიცია არ იქცევა შესაბამისად, (დამცავი სტრუქტურებისადმი ნდობის ნაკლებობა).....	31
ძალადობის მსხვერპლის დაცვის სოციალურ სერვისებზე ინფორმაციის არ ქონა .....	31
განმეორებითი ძალადობის შიში.....	32
<b>დასკვნა .....</b>	<b>33</b>
<b>რეკომენდაციები სოციალური ნორმების ტრანსფორმაციისთვის.....</b>	<b>35</b>
<b>დანართები.....</b>	<b>38</b>
დანართი 1 მონაწილეთა სია.....	38
დანართი 2 ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო .....	39
დანართი 3. დისკუსიის თემები .....	41

## დოკუმენტის შესახებ

*წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია გაეროს ბავშვთა ფონდი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია*

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს UNICEF -ის მიერ დაფინანსებულ ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმების ანალიზს, სოციალური ცვლილებებისათვის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ანგარიშს, რომლის მიზანი იყო იმ სოციალური ნორმების ანალიზი, რომელიც განაპირობებს ბავშვთა მიმართ ძალადობას საქართველოში. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები: მეორადი წყაროების ანალიზი (Desk Research), ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები და სამუშაო შეხვედრები სფეროს ექსპერტებთან (ფსიქოლოგები, სოციოლოგები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე). ანგარიშში მოცემულია კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები, რომელიც გამოყენებული იქნება ბავშვთა მიმართ ძალადობის დამლევსთვის მიმართულ საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებისას.

ანგარიში მომზადებულია პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრას“ და გამოყენებითი კვლევების კომპანია ეი არ სი (ARC) მიერ.

## მეთოდოლოგია

### სამაგიდო კვლევა (Desk Research)

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნა ინფორმაციის წყაროები, რომელიც ეხებოდა საქართველოში ძალადობას:

- საქართველოში ძალადობის თემაზე ჩატარებული კვლევის ანგარიშები
- სახალხო დამცველის აპარატის ანგარიში

ასევე შესწავლილი იქნა საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკა ოჯახში ძალადობის განმსაზღვრელი სოციალური ნორმების ცვლილების.

ძალადობის თემაზე ჩატარებული კვლევების გაცნობა დაგეხმარა ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელოს შემუშავებაში და ექსპერტებთან დისკუსიის საკითხების ჩამოყალიბებაში.

### სამუშაო შეხვედრები ექსპერტებთან

ექსპერტებთან შეხვედრების მიზანი გახლდათ მოგვესმინა მათი მოსაზრებები იმ სოციალური ნორმების, დამოკიდებულებების, ღირებულებების და სტერეოტიპების შესახებ, რომლებიც მათი აზრით განაპირობებს ბავშვთა მიმართ ძალადობას საქართველოში. ასევე გვსურდა მოგვესმინა მათი რეკომენდაციები ძალადობის გამომწვევი სოციალური ნორმების ცვლილების შესაძლო გზების შესახებ.

სულ ჩატარდა ორი დისკუსია, ერთი ფოკუს ჯგუფების ჩატარებამდე და ერთი შემდეგ. გარდა ამისა ჩატარდა 1 ინტერვიუ ექსპერტთან / ფსიქოლოგთან, რომელმაც ვერ შეძლო შეხვედრაზე მოსვლა.

დისკუსიები ექსპერტების მონაწილეობით გრძელდებოდა 2 საათის განმავლობაში.

### ფოკუს ჯგუფები (ჯგუფური დისკუსია)

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო მოგვესმინა მოსახლეობის აზრი იმასთან დაკავშირებით თუ რას ფიქრობენ ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, ოჯახში ბავშვის როლზე და ბავშვის მიმართ

დამოკიდებულებაზე, რას მიიჩნევენ ძალადობად ბავშვზე და როგორია მათი აზრით ბავშვის აღზრდის გავრცელებული სტილი<sup>1</sup>.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი თელავში, ბათუმსა და მარნეულში. ფოკუს ჯგუფების ჩატარების ადგილები არჩეული იქნა შემდეგი მოსაზრებებით. გვსურდა რომ დისკუსიები გამართულიყო როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში, ეთნიკურად არაქართველებით დასახლებულ რეგიონში, და ასევე მოგვესმინა მუსლიმი თემის წარმომადგენლებისთვისაც.

თითოეულ დისკუსიაში ჩართული იყო 10 მონაწილე. ჯგუფის წევრები იყვნენ მშობლები, რომლებსაც ჰყავდათ 2-18 წლამდე შვილები. ჯგუფში დედები და მამები იყვნენ წარმოდგენილნი თანაბრად. ბათუმის ჯგუფში მონაწილეობდა 3 მუსლიმი ქართველი და მარნეული ჯგუფის შემადგენლობა კი ეთნიკურად შერეული იყო (ეთნიკურად ქართველები, რუსები და აზერბაიჯანელები). დისკუსიის მონაწილეები იყვნენ როგორც ქალაქური ისე სოფლის ტიპის დასახლებიდან.

კვლევის თემა სენსიტიურ თემების რიცხვს მიეკუთვნება. იყო მოლოდინი რომ თავად ჯგუფის მონაწილეები არ იქნებოდნენ გულწრფელები იმასთან დაკავშირებით თუ თავად რამდენად იყენებენ აღზრდისას ფიზიკური დასჯის მეთოდებს. ამიტომ ჯგუფის წევრებს არა მარტო ვთხოვდით მოეთხროთ მათი უშუალო გამოცდილების შესახებ (როგორც მშობლები, როგორც შვილები), არამედ მოეთხროთ გარემოს შესახებ მეზობლების, ახლობლების, მეგობრების გამოცდილების შესახებ.

ფოკუს ჯგუფის და ექსპერტების მოსაზრებები გაანალიზდა და ანგარიშში მოცემულია ერთად.

---

1 ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო იხილეთ დანართში N2.

## თეორიული კონცეფტი

ბავშვთა მიმართ ძალადობის მიზეზების შესწავლა მოხდა სოციალური ნორმების ანალიზის კონტექსტში. როგორც ექსპერტებთან დისკუსიის ისე ფოკუს ჯგუფების დროს მოხდა იმ დამოკიდებულებების, შეხედულებების, ღირებულებების და რწმენების განხილვა, რომელიც ამტკიცებს არსებულ სოციალურ ნორმებს. ანგარიშის ამ ნაწილში გვინდა მოკლედ აღვწეროთ ის თეორიული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც მოხდა მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და სისტემატიზაცია.

**სოციალური ნორმა** არის ქცევის წესი, რომელსაც ინდივიდი მისდევს იმ პირობებში თუ მას სჯერა რომ მისი რეფერენტული ჯგუფის უმრავლესობა ასე იქცევა (ემპირიული მოლოდინი) და ამავე რეფერენტული ჯგუფის უმრავლესობა მისგანაც ასეთივე ქცევას მოელის (ნორმატიული მოლოდინი).

ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში სოციალური ნორმაა, ის რომ ბავშვის აღზრდის სასურველ მეთოდად მიჩნეულია მკაცრი აღზრდა, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის მეთოდებისადმი მიმდებლობას. ინდივიდი საკუთარი ქცევის მოდელად ირჩევს ბავშვის მიმართ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას იმ დაშვებით, რომ მისი უშუალო გარემოცვაც ასე იქცევა (ემპირიული მოლოდინი) და გარემო / საზოგადოებაც მისგანაც ასეთ ქცევას მოელის (ნორმატიული მოლოდინი). იმ შემთხვევაში თუ ინდივიდი არ იზიარებს საზოგადოებაში (რეფერენტულ ჯგუფში) გავრცელებულ ნორმას მკაცრი აღზრდის შესახებ, ინდივიდი არის გაკიცხვის ობიექტი. ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს მისთვის რეფერენტული ჯგუფისადმი იდენტობა, ამიტომ დიდი ალბათობით ადამიანი შეეცდება არ შეეწინააღმდეგოს მიღებულ სოციალურ ნორმას, მაშინაც კი როცა ის პიროვნულად არ იზიარებს ან ნორმას, იმისათვის რომ არ იქნას საზოგადოებისგან გარიყული, საზოგადოებისთვის მიუღებელი.

ინდივიდის ქცევაზე გავლენას ახდენს ის თუ რა ტიპის ქცევის მოდელს ანიჭებს უპირატესობას (preference), ამ უკანასკნელს კი განსაზღვრავს:

1. ფაქტებზე დაფუძნებული რწმენები
2. პერსონალური დამოკიდებულებები, შეხედულებები
3. სოციალური მოლოდინები (ემპირიული ან/და ნორმატიული მოლოდინები)

იმისათვის რომ შევისწავლოთ ძალადობრივი ქცევის (მათ შორის ბავშვთა მიმართ) ბუნება, უნდა გავიგოთ რა უდევს საფუძვლად ძალადობრივი ქცევის არჩევანს.

ბავშვთა მიმართ ძალადობის მიზეზების გაანალიზებისას კვლევის ამოცანა გახლდათ შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- აღზრდისას ბავშვის მიმართ ძალადობრივი მეთოდების არჩევაზე გავლენას ახდენს თუ არა სოციალური მოლოდინი?
- რა სოციალური მოლოდინები ახდენს გავლენას?
- რა ტიპის კოლექტიურ ქცევასთან გვაქვს საქმე?

განვითარებაზე ორიენტირებული და ძალადობის პრევენციაზე მიმართული კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია (Communication for development) განვიხილოთ სოციო ეკოლოგიური მოდელი, რომელიც აღწერს რა განსაზღვრავს ადამიანების ქცევას და როგორ მიემართება ამ მოდელის თითოეული ელემენტი ცვლილებებზე ორიენტირებული კომუნიკაციის მიდგომებს.

ჩვენი კვლევის საკითხები შეეხო ინდივიდუალურ დონეს (ქცევა, დამოკიდებულებები და ცოდნა), ინტერპერსონალური დონეს (ოჯახის, მეგობრების, სოციალური კავშირების) და თემის დონეს (საზოგადოება ფართო გაგებით).

სქემა 1 სოციო ეკოლოგიური მოდელი და განვითარებაზე ორიენტირებული კომუნიკაციის მიდგომები




Figure 1. The Social Ecological Model (left side) and Corresponding C4D Approaches (right side).

ძალადობრივი ქცევის საწინააღმდეგო საკომუნიკაციო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგს:

- ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში (არგუმენტების გაზიარება რატომ არის ბავშვებზე ძალადობა ნეგატიური ყველასთვის)




- მიმართული უნდა იყოს საზოგადოების / კოლექტივის ფაქტობრივი რწმენების და დამოკიდებულებების შეცვლაზე (აღზრდის ძალადობრივი მეთოდებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შემუშავება)
- კოლექტიური გადაწყვეტილება რომ ცვლილებები აღსრულდეს (სხვადასხვა ინსტიტუტების კოორდინირებული შეთანხმებული მოქმედება ძალადობის აღკვეთის და პრევენციის)
- სოციალური პრობლემის გაცნობიერება (სოციალური ნორმების ცვლილება / ჩანაცვლება)

იმისათვის რომ ძალადობის პრევენციის საკომუნიკაციო კამპანია იყოს წარმატებული პირველ რიგში მნიშვნელოვანია რომ მოხდეს არსებული ნორმების ცვლილება /ახალი ნორმებით ჩანაცვლება.

ძალადობის განმაპირობებელი ნორმების ცვლილება / ახლით ჩანაცვლების სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

სქემა 2 ნორმების ცვლილების სქემა



საზოგადოებაში სოციალური ნორმების ცვლილებას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები:

- საზოგადოებაში არ არის ცოდნა შესაძლო ალტერნატივების შესახებ
- საზოგადოება ვერ აცნობიერებს გავრცელებულ სოციალურ ნორმაში არსებულ პრობლემას
- ჯგუფური იგნორირება

სოციალური ნორმები მყარადაა გადაჯაჭვული სხვა სოციალურ ნორმებთან, ღირებულებებთან, დამოკიდებულებებთან, ფაქტობრივ რწმენებთან და ქცევის სტერეოტიპებთან / სცენარებთან.

იმისათვის რომ ინდივიდმა შეცვალოს ძალადობრივი ქცევა / აღზრდის მკაცრი სტილი, არამარტო უნდა დარწმუნდეს ძალადობრივი ქცევის ნეგატიურ შედეგებში, არამედ ასევე უნდა დარწმუნდეს იმაშიც, რომ სხვებიც ასე მოიქცევიან, და მისი ინდივიდუალური ქცევა არ აღიქმება სოციალური ნორმიდან „გადახრად“.

## სიტუაციური ანალიზი

2007 წელს ჩატარდა ეროვნული კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ამ კვლევის ამოცანა იყო დაედგინა ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბი, ძალადობის სხვადასხვა ფორმები და ძალადობასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა ბავშვთა მიმართ ძალადობის სკრინინგ ინსტრუმენტები. მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარი იძლეოდა მშობლის მიერ ბავშვისადმი გამოყენებული სასჯელის ფორმების და სიხშირის შესახებ ინფორმაციას (*ქვევ/გავრცელებული პრაქტიკა*). კვლევის შედეგების მიხედვით მშობლების / მზრუნველების 79.8%-ს კვლევის წინა წლის განმავლობაში გამოუყენებია ფიზიკური დასჯის ესათუის ფორმა, ხოლო 82,3%-ს გამოუყენებია ფსიქოლოგიური დასჯის ფორმა. ფიზიკური დასჯის მეთოდებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ხელის დარტყმა, შენჯღრევა, თმაზე მოქაჩვა, ყურის აწევა. ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდებს შორის კი ყვირილი, დამცინავი სახელების დამახება, ბავშვის ლანძღვა და მიტოვებით დაშინება. აღსანიშნავია რომ მშობელი რესპონდენტების დაახლოებით მეხუთედმა (21,5%) ბავშვის სისტემატურ ვნებას (ცემა) აღიარა.

საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის განვითარების მიზნით 2010 წელს მთავრობამ გამოსცა ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის და რეფერირების შესახებ. ეს იყო სამი სამინისტროს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ბრძანება. ბრძანება ავალდებულებს პოლიციას, სკოლებს, ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებებს და ჯანდაცვის დაწესებულებებს სავარაუდო ან რეალური ძალადობისა და ჩაგვრის შემთხვევების გადამისამართებას (რეფერირებას) სახელმწიფო სოციალურ მუშაკებთან შესაბამისი ზომების მისაღებად.

ბრძანების გამოცემიდან რეფერირებული შემთხვევების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. თუმცა რეფერირებული შემთხვევების რაოდენობა ძალადობის რეალური მასშტაბთან შედარებით ძალიან მცირეა.

კატეგორია	ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეფერირება	2009	2010	2011	2012			
					იანვ.- მარტი	აპრ.- მაისი	ივნ.- სექტ.	სულ
N შემთხვევები	რეფერირების შემთხვევების მთლიანი რაოდენობა	40	90	141	57	44	36	137
	ძალადობის დადასტურებული შემთხვევები			92	31	24	18	73

რეფერირების სისტემის დაკავშირებული მხარეები (დარგობრივი სამინისტროები, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები) სისტემის არაეფექტურობის მიზეზებიდან გამოყოფენ შემდეგს:

- კონკრეტული პროცედურების შესახებ ცოდნის ნაკლებობა;
- ძალადობის ნიშნების ამოცნობის უნარის ნაკლებობა;
- მონაწილე მხარეებს შორის სუსტი კოორდინაცია
- ძალადობის მსხვერპლთა მოცვის დაბალი დონე;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციისათვის საჭირო მომსახურებების ნაკლებობა.

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის დაძლევისთვის, რეფერირების სისტემის ხარვეზების შესწავლის გარდა, მნიშვნელოვანი იყო ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესწავლა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის - „საქართველოში ბავშვებზე ზრუნვის მომსახურებისა და სისტემების გაძლიერების“ - ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული ორი კვლევა:

- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების თვისობრივი კვლევა
- ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებაში გავრცელებული ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესწავლა (რაოდენობრივი კვლევა) (2012 წელი).

კვლევის ანგარიშში მოცემულია დაშვება რომ ძალადობაზე რეაგირებისთვის, ადამიანს კარგად უნდა ესმოდეს რა წარმოადგენს ძალადობას. კვლევის შედეგების მიხედვით მოსახლეობამ საკმაოდ კარგად იცის თუ რა სახის ქმედება წარმოადგენს ფიზიკურ ძალადობას (რესპონდენტების 90%), ფსიქოლოგიური ძალადობას (რესპონდენტების 64%), უგულებელყოფას (79%). მიუხედავად ცოდნის მაღალი დონისა რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (45%) ემხრობა ბავშვის აღზრდისას ფიზიკური დასჯის მეთოდების გამოყენებას, რის გარეშეც ბავშვი „გაფუჭდება“. დედების 30% და მამების 17% აღიარებენ რომ იყენებენ ან გამოიყენებენ ფიზიკური დასჯის მეთოდებს აღზრდისას. ერთი შეხედვით, ეს მონაცემები წინააღმდეგობაში მოდის ფიზიკური ძალადობის როგორც პრობლემის აღქმის მაჩვენებელთან. რესპონდენტების 39% თვლის რომ ფიზიკური ძალადობა სერიოზული პრობლემაა, 43% კი თვლის რომ მეტნაკლებად სერიოზული პრობლემაა. ჯამში 82% აღიარებს რომ საქართველოში ძალადობა პრობლემაა. ამ წინააღმდეგობის ერთ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის რომ საზოგადოებისთვის მიღებულია აღზრდის მიზნებისთვის ფიზიკური დასჯის ე.წ. „რბილი ფორმები“ (წამორტყმა, თმის მოწიწკვნა, შეჯანჯღარება) და ასეთ მეთოდებს ამართლებენ კარგი მოტივებით (კარგი შვილის აღზრდა), ხოლო როცა ლაპარაკია ძალადობაზე როგორ პრობლემაზე, გულისხმობენ ძალადობის უფრო რთულ ფორმებს.

ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ ცოდნის მაღალი დონის მიუხედავად მოსახლეობის 91% ოჯახში ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში მისაღებად არ თვლის სკოლის, სოციალური სამსახურების ან პოლიციის ჩარევას.

ძალადობის ჩამდენი პირის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ძალადობის სხვადასხვა ფორმების მიხედვით. ყველაზე ტოლერანტული დამოკიდებულება აქვთ ფსიქოლოგიური ძალადობისა და უფლებებუფროსადმი. ყველაზე მიუღებელი კი სექსუალური ძალადობის მიმართ. აღსანიშნავია რომ რესპონდენტების მხოლოდ 36% მიიჩნევს რომ ფიზიკური ძალადობის ჩამდენების მიმართ სასამართლო გარჩევა უნდა იქნას გამოყენებული.

კვლევის შედეგებიდან მნიშვნელოვანია მონაცემები საზოგადოების აზრით ვინ უნდა ჩაერიოს ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში. რესპონდენტების 30% თვლის რომ პოლიცია არ უნდა ჩაერიოს, 48% თვლის რომ სოციალური სამსახური არ უნდა ჩაერიოს 50% კი მიიჩნევს რომ სკოლა არ უნდა ჩაერიოს. საინტერესოა რომ მხოლოდ 4-6% თვლის რომ ფიზიკური ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში ყველა სიტუაციაში უნდა ჩაერიოს რომელიმე ინსტიტუცია. ეს მონაცემები გარკვეულწილად ხსნის რეფერირების დაბალ დონეს.

ძალადობაზე რეაგირების ყველაზე მიღებულ ფორმად საზოგადოება პირად ჩარევას მიიჩნევს (დალაპარაკება მშობელთან). მათგან ვინც თქვა რომ იცის როგორ უნდა მოიმოქმედოს ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში, 70% თქვა რომ უშუალოდ მშობელს დაელაპარაკება.

ამგვარად, ხსენებული კვლევის შედეგები და რეფერირების სტატისტიკა გვიჩვენებს რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმების შესახებ ცოდნის და ზოგადად ძალადობის როგორც პრობლემის აღქმის მიუხედავად, ძალადობაზე პირადი რეაგირების დონე დაბალია და კიდევ უფრო დაბალია მოსახლეობის წილი ვინც თვლის, რომ შესაბამისი სამსახურები უნდა ჩაერთვნენ ძალადობის აღმოფხვრის /პრევენციის საქმეში. მეორეს მხრივ კვლევები გვიჩვენებს რომ ბავშვის მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოყენება გავრცელებული პრაქტიკაა. ჩატარებული რაოდენობრივი კვლევების ამოცანა არ ყოფილა ძალადობრივი ქცევის და ძალადობაზე რეაგირების დაბალი დონის განმსაზღვრელი ფაქტორების სიდრმისეული კვლევა. თუმცა მიღებული მონაცემები მიგვანიშნებს რომ ბავშვთა აღზრდის პროცესში ძალადობრივი მეთოდების გამოყენება არის სოციალური ნორმა, რომლისკენაც გვიბიძგებს საზოგადოების დაკვეთა (მოლოდინი) გავზარდოთ „კარგი ბავშვი“. მეორე მხრივ ძალადობაზე დაბალი რეაგირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია „სხვის საქმეში“ ჩაურევლობა.


ქვემოთ მოცემული კვლევის ფარგლებში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ის სოციალური ნორმები, რომელიც განსაზღვრავს ძალადობრივ ქცევას და ის დამოკიდებულებები, აღქმა და რწმენები რომელიც კვებავს ამ სოციალური ნორმას.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებმა ასახვა ჰპოვა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეც. UNICEF -ის ინიციატივით 2016 წლის სექტემბერში, მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. დადგენილების შესაბამისად გაფართოვდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი სუბიექტების სია. ცენტრალურ სტრუქტურებთან ერთად ჩაერთვნენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სოციალურ მუშაკს მიენიჭა პოლიციის გარეშეც დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის, მსხვერპლის გამოყვანის და, მოძალადისგან იზოლაციის უფლებამოსილება.

### კვლევის მიგნებები

დოკუმენტის ამ ნაწილში გვინდა მოკლედ მიმოვიხილოთ ფოკუს ჯგუფების და ექსპერტებთან დისკუსიის შედეგები.

1. ბავშვთა მიმართ ძალადობას განაპირობებს საზოგადოებაში გავრცელებული **აღზრდის სტილი**, რომელიც მისაღებად მიიჩნევს ბავშვების აღზრდისას ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდების გამოყენებას მშობლების / მასწავლებლების მიერ და ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე **რეაგირების დაბალი დონე**.



2. ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება **სოციალური ნორმაა**. საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ოჯახებში / სკოლაში ჯერ კიდევ **ხშირია ბავშვის დასჯა** (ფიზიკური / ფსიქოლოგიური) და **საზოგადოება მათგანაც იმავს მოელის**, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიკიცხება.
3. სოციალიზაციის პროცესში ადამიანი ეძებს ქცევის **წარმატებულ მოდელებს** და თუ ძალადობრივი ქცევა წარმატებულია და ამასთან დაუსჯელია, დიდია ალბათობა რომ სწორედ ქცევის ასეთ მოდელებს მიანიჭებს უპირატესობას.



4. ქცევის მოდელების ალტერნატივების არ არსებობა -ავტორიტარული გარემოსთვის დამახასიათებელია შეთავაზებული ქცევის მოდელების უალტერნატივობა. ამ გაბატონებული მოდელებისგან ნებისმიერი გადახვევა ითვლება გადახრად, დევიაციად და შესაბამისად დასჯის მიზეზად.
5. ბავშვთა მიმართ ძალადობას ამყარებს ბავშვისადმი გავრცელებული დამოკიდებულებები:
  - a. ბავშვი არის ოჯახის / მშობლის საკუთრება
  - b. კარგი ბავშვი ნიშნავს „ნორმალურ“ ბავშვს, რომელიც არ განსხვავდება უმრავლესობისგან
  - c. „კარგი ბავშვი“ უნდა იყოს დამჯერი
  - d. ბავშვი როგორც ინვესტიცია
6. პოზიტიური დამოკიდებულება აღზრდის ავტორიტარული სტილის მიმართ
7. ძალადობის აღქმის ზღურბლი მაღალია- საზოგადოებისთვის მიუღებელია ძალადობის რთული ფორმები, შედარებით რბილი ფორმები კი ძალადობად არ აღიქმება.
8. ძალადობაზე პასუხისმგებლობის არიდება- მოძალადე ძალადობაზე პასუხისმგებლობას აკისრებს ბავშვს და არა საკუთარ თავს („თავი გამალახინა“).
9. ძალადობის გამართლება - ძალადობის აუცილებლობა გამართლებულია „კარგი შვილის“ გაზრდის სურვილით, და თუ ბავშვი არ შეესაბამება მშობლის წარმოდგენას კარგი ბავშვის შესახებ, მაშინ ძალადობა დასაშვებია.
10. ძალადობის ობიექტივ ამართლებს აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას („ჩემთვის კარგი უნდოდა და იმიტომ მცემდა“)
11. კვლევამ აჩვენა რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის სოციალური ნორმების განმაპირობებელი დამოკიდებულებების, აღქმის და რწმენების გარდა ნორმის ცვლილებას ხელს უშლის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. საზოგადოების ის ნაწილი რომელსაც გაცნობიერებული აქვთ ძალადობრივი მეთოდების ნეგატიური შედეგები, აღიარებს რომ ხშირ შემთხვევაში არ იცის როგორ მოიქცეს პრობლემურ სიტუაციაში.
12. მაშინაც კი როცა ძალადობის ყველასათვის მიუღებელ ფორმასთან გვაქვს საქმე, მოწმის მხრიდან ძალადობაზე რეაგირების დონე არის ძალიან დაბალი
13. რეაგირების დაბალ დონეს ამყარებს გაბატონებული მოსაზრება რომ სხვის საქმეში / სხვის ოჯახში ჩარევა მიუღებელია, და ამისთვის შეიძლება ადამიანი გაიკიცხოს.
14. ძალადობაზე რეაგირება დამოკიდებულია ძალადობის სიმძიმეზე, ძალადობის რთული ფორმების შემთხვევაში უფრო მაღალია ალბათობა რომ მოწმე პირადად ჩაერევა
15. მოძალადის შიში -ადამიანები თავს იკავებენ რეაგირებისგან, რადგან ეშინიათ თვითონ არ გახდნენ ძალადობის ობიექტი.
16. დამცავი სტრუქტურებისადმი ნდობის დაბალი დონე -უნდობლობას ამყარებს მოსაზრება რომ ძალადობის თვითმხილველის მიერ პოლიციის გამოძახებისას არ

ხდება პოლიციის მიერ ადეკვატური რეაგირება. პოლიციას არ აქვს შესაბამისი მგრძობელობა ოჯახში ძალადობის მიმართ, არ იცავს მოწმის ანონიმურობას. საზოგადოება არ არის დარწმუნებული, რომ დამცავი სტრუქტურების ჩარევისას სასურველი შედეგები დადგება.

**17. ინფორმაციის არ ქონა ძალადობის მსხვერპლის დამცავ სოციალურ სერვისებზე** - საზოგადოება არ არის ინფორმირებული რა მოწყვეტა პატრულის გამოძახებას. არ არის დარწმუნებული, სოციალური სამსახურის შესაძლებლობაში ეფექტურად მოაგვაროს პრობლემა.

**18. განმეორებითი ძალადობის შიში** - ძალადობის მოწმე თვლის, რომ შეიძლება ჩარევის შემთხვევაში მოძალადე შემდგომში უარესად, გაორმაგებულად იძალადებს მსხვერპლზე.

**19. რეფერენტული ჯგუფი** - ბავშვის აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით მშობლები მნიშვნელობას ანიჭებენ მეგობრების / ახლობლების აზრს, ვისაც ჰყავს დაახლოებით იმავე ასაკის შვილი. ასევე სულ უფრო მეტად ინტერესდებიან პროფესიონალების აზრით (ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, ექიმები).

## კვლევის შედეგები

ანგარიშის ამ ნაწილში შეჯამებულია ფოკუს ჯგუფებზე და ექსპერტებთან დისკუსიას გამოთქმული მოსაზრებები, ასევე მოყვანილია მონაწილეთა მიერ გამოთქმული ყველაზე ტიპური ციტატები.

## სოციალური ნორმების ფორმირების ფონი

სოციალური ნორმების ფორმირება ხდება კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში, რომელზეც გავლენას ახდენს, როგორც შედარებით შორეული ისტორიული წარსული, აგრეთვე მოცემული მომენტისთვის არსებული თაობის გამოცდილება. ქართულ საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავს, როგორც ბავშვთა მიმართ ასევე ძალადობისადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელი ნორმები და არსებულ სოციალურ ნორმათა მთელი კომპლექსი.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა სოციალურ ნორმების ფორმირების რამდენიმე წყარო:

- პარტიარქალური ტრადიციები
- საბჭოთა ტოტალიტარული წარსული
- სამოქალაქო ომები და მასობრივი ძალადობა

შედეგად საზოგადოებაში (განსაკუთრებით სოფლად) ჯერ კიდევ შემორჩენილია მკაცრი იერარქიულობა; სტერეოტიპული როლებიდან (ან იერარქიულად მაღალ საფეხურზე მყოფი



პერსონის მოთხოვნიდან) გადახრის მიუღებლობა; სასჯელის სახით ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება. მნიშვნელოვანი კვალი დატოვა აგრეთვე ახლო წარსულში გაბატონებული ძალადობის დაუსჯელობამ (რომლის წინაპირობას თავის მხრივ წარმოადგენდა შექმნილი პოლიტიკური ფონი), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა როგორც მიზნის მიღწევის საშუალების ეფექტიანობის აღქმა, რამაც თავის მხრივ განაპირობა წარმატებული მამაკაცის აუცილებელ ატრიბუტად ძალის გამოყენების უნარის ქონა.

აღნიშნულ მოვლენებს თან ერთვის კულტურის თავისებურებანი, კერძოდ მცირე ჯგუფებზე ორიენტირება, რომელთა წევრებს შორის ურთიერთ-ვალდებულებანი და მოლოდინებთან შესაბამისობის აუცილებლობა, ხშირად ოფიციალურ კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა ქმნის სოციალური ნორმების ჩაკეტილ წრეს, სადაც ერთის მხრივ გაბატონებულია ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების და ჩაურევლობის ტენდენცია, მეორეს მხრივ კი არსებობს მძლავრი ბარიერები მათი ტრანსფორმაციისთვის.

### ბავშვის აღზრდისას გავრცელებული სოციალური ნორმები

ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება სოციალური ნორმაა: „მტრად გაზარდე, მოყვარედ გამოგადგება“

აღზრდის პროცესში ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯა საზოგადოებაში მიღებული ნორმაა. აღზრდაში ძალადობრივი მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე თუ ახლო გარემოცვა / თემი რას ფიქრობს როგორ უნდა გაზარდო ბავშვი და თავად ეს გარემოცვა რა მეთოდებს იყენებს ბავშვის აღზრდისას.

*„მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ცემა კანონით ისჯება, მაინც ცემენ ბავშვებს, თუ რამე დააშავეს მსუბუქად ცემა, წამორტყმა, თმის და ყურის მოქაჩვა, შეურაცხყოფის მიყენება, ლანძღვა კიდევ გხვდება.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„გუშინ ჩემმა შვილმა ძალიან ძვირფასი ვაზა გამიტეხა, მეზობელი შეესწრო და გაკვირვებულმა მკითხა, რატომ არ სცემ, რა ვაზა გაგიტეხაო. ძალიან გაკვირვებული წავიდა.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„ვინც სცემს ის არც ფიქრობს, რომ ძალადობს, ის ფიქრობს, რომ კარგად ზრდის შვილს და კარგს აკეთებს შვილისთვის. ისინი ალბათ ფიქრობენ რომ მე ვზრდი ცუდად შვილს, რომ არ ვცემ“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

ბავშვთა მიმართ ძალადობას განაპირობებს სოციალური ნორმა, რომელიც მისაღებად მიიჩნევს ბავშვების აღზრდისას ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდების გამოყენებას მშობლების / მასწავლებლების მიერ და სოციალური ნორმა, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური ძალადობის ფაქტის შესახებ ცოდნის შემთხვევაში არრეაგირებას.

პირველ შემთხვევაში, მკაცრ აღზრდას განაპირობებს მოსაზრება, რომ დისციპლინა მიიღწევა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით და მეორეს კი განაპირობებს მოსაზრება, რომ სხვისი ოჯახის საქმეში არ უნდა ჩავერიოთ, სხვისი შვილის აღზრდა ჩვენ არ გვეხება.

სოციალურ ნორმები მჭიდროდაა გადაჯაჭვული სხვა სოციალურ ნორმებთან, რწმენებთან, დამოკიდებულებებთან, ღირებულებებთან და აღქმასთან. ისინი ამყარებენ გავრცელებულ სოციალურ ნორმას და ხელს უშლიან ახალი ნორმის დამკვიდრებას, მაშინაც კი როცა ინდივიდი თვლის, რომ არსებული ნორმა არ არის კარგი და პირადად მისთვის მიუღებელია.

### **რა კვებავს / ამყარებს ბავშვთა მიმართ ძალადობას**

#### **ბავშვის სოციალიზაციის პროცესში წარმატებული, მაგრამ ძალადობრივი მოდელების გათავისება / აღება**

ძალადობა აგრესიის ფორმაა, აგრესიულობა კი ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტია. აგრესიულობის ინსტინქტის დაძლევა ხდება სოციალიზაციის პროცესში. რომლის დროსაც იმ მოდელების აღება ხდება, რომელიც ქცევის წარმატებულ მოდელად აღიქმება, მოდელი რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში არის მოგების, გამარჯვების, სარგებლის მომტანი, ამასთანავე რჩება დაუსჯელი. მოდელების შეფასება / გაზიარების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედია, პირადი გამოცდილება, აღზრდისას ღირებულებების გადაცემა. თუ სოციალიზაციის პროცესში ბავშვი ხედავს, რომ წარმატებულია ქცევის ძალადობრივი მოდელები და ამასთან ქცევის ასეთი ტიპი დაუსჯელია, დიდია ალბათობა რომ სწორედ ქცევის ასეთ მოდელებს მიანიჭებს უპირატესობას. თუ ძალადობა იქნება წამგებიანი, არ მოხდება ძალადობრივი მოდელებისთვის უპირატესობის მინიჭება.

## ქცევის მოდელების ალტერნატივების არ არსებობა - ტოტალური მოდელების გაბატონება

ავტორიტარული გარემოსთვის დამახასიათებელია შეთავაზებული ქცევის მოდელების უალტერნატივობა. პრობლემას წარმოადგენს ის რომ მშობელი ბავშვს აღზრდის პროცესში აწვდის ქცევის მოდელებს, რომელსაც ალტერნატივები არ აქვს. არსებობს გაბატონებული მოდელები, როგორც უნდა მოხდეს ბავშვის მიერ გარკვეული მიზნების მიღწევა, და ამ გაბატონებული მოდელებისგან ნებისმიერი გადახვევა ითვლება გადახრად, დევიაციად და შესაბამისად იქცევა დასჯის გამართლებად. ოჯახებს უკვე აქვთ ჩამოყალიბებული როგორი უნდა იყოს ბავშვის მომავალი სხვადასხვა სფეროში (პროფესიული, პირადი ცხოვრების ორგანიზება).

აზროვნების, ქცევის, ემოციური დამოკიდებულების ტოტალური მოდელის შედეგად არ არსებობს ერთიდაიგივე მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალებების ლეგიტიმაცია.

### მშობლის მიერ ბავშვის პიროვნებად არ აღიარება

ქართულ ოჯახში ბავშვი პიროვნებად არ არის აღიარებული. თუ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება არ ხდება, ის მუდმივად ეძებს პატრონს, მას შემდეგაც კი როცა გამოდის ბავშვობის ასაკიდან. ქართულ ენაში გამოთქმას „პატრონი არ გყავს?“ აქვს ნეგატიური სემანტიკური დატვირთვა, მაშინ როცა შინაარსობრივად პატრონის არ ქონა ნიშნავს თავისუფლებას.

### ბავშვისადმი როგორც საკუთრებისადმი დამოკიდებულება

მშობელი ბავშვს აღიქვამს საკუთრებად, რომლის მაგივრადაც უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ყოველდღიურ მეტყველებაში. ყველასთვის ნაცნობია მშობლების ფრაზები: „ჩვენ კბილები ამოგვივიდა“, „ჩვენ სკოლაში მივდივართ“, „ჩვენ ვამთავრებთ სკოლას“, „ჩვენ წელს ვაბარებთ“. ბავშვის ცხოვრების ყველა ეტაპზე მშობელს სურს, რომ მის მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილება.

*„მშობელი ფიქრობს, რომ ბავშვი არის პატარა და მის მაგივრად მე (მშობელმა) უნდა გადაწყვიტო. მე უკეთ ვიცი რა სჭირდება ბავშვს!“*

*ფსიქოლოგი*

*„ბევრი მშობელს აქვს იმისი განცდა, რომ რახან მან გააჩინა, ეს არის მისი საკუთრება.“*

*ფსიქოლოგი*

*„მეზობელი მყავს სულ კივის, უყვირის ბავშვებს, შენიშვნა რომ ვუთხარი ჩემი საკუთრებაა, რასაც მინდა იმას ვიზამო.*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

### **„კარგი ბავშვის“ აღქმა - ისეთივე როგორც ყველა**

საზოგადოება ცდილობს ბავშვების უნიფიცირებას. სასურველი ბავშვი არის „ნორმალური“ ბავშვი, ბავშვი რომელიც არ განსხვავდება უმრავლესობისგან, არის მორჩილი, დამჯერი, მისი ქცევა სრულად შესაბამისობაშია უფროსების სურვილებთან და მოლოდინებთან. „ნორმალურობისგან“ ნებისმიერი გადახრა აღიქმება, როგორც საშიში, არასასურველი მოვლენა. შესაბამისად ბავშვის აღზრდის ამოცანად აღიქმება ის, რომ ის იყოს ისეთივე, როგორც ყველა.

*„მშობელი სიმკაცრეს იჩენს იმიტომაც, რომ მშობელს არ უნდა რომ მისი შვილი იყოს გამორჩეული. საზოგადოებას ეშინია ბავშვის, რომელიც არის განსხვავებული, განსხვავებული უნარები აქვს, განსხვავებული სექსუალურობა. ამასთან ეს არ არის ყოველთვის მათი შვილი, შეიძლება ეს იყოს სხვისი შვილი.“*

*ფსიქოლოგი*

*„წარმატების, წარმატებული ბავშვის / შვილის აღქმაც არის ერთნაირი ოჯახებში. გავრცელებული კლიშეებით ხელმძღვანელობენ, ისევე როგორც სხვა“*

*ფსიქოლოგი*

*„არსებობს ხატი, როგორი უნდა გაიზარდოს ბიჭი და როგორი გოგო, ბიჭი უნდა გაიზარდოს ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, გოგო ქართველი მანდილოსანი“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

### **„კარგი ბავშვის“ აღქმა - „კარგი ბავშვი“ უნდა იყოს დამჯერი**

საქართველოში კარგ ბავშვად ითვლება დამჯერი ბავშვი, ბავშვი რომელიც ყველაფერში უჯერებს უფროსს. თუ ბავშვი ეწინააღმდეგება უფროსს, ისაა „ენატლიკინა“. აქედან გამომდინარეობს სურვილი ჩაახშო ბავშვის სურვილი გამოთქვას საკუთარი აზრი. არსებობს ტენდენცია, რომ ბავშვი არ ჩართო მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში. ოჯახს ბავშვის გარეშე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, არ გაითვალისწინოს მისი აზრი, სურვილი.

შეხვედრების / ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებდა რომ 20-30 წლის წინ ბავშვს ბევრად ნაკლები უფლებები ჰქონდა ოჯახში და ეს ტენდენცია ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

*„ადრე ბავშვს მშობლის ჭკუაზე უნდა ევლო. ბევრი აკრძალავა იყო. შეზღუდვები იყო დაწესებული ჩაცმაზე, გარეგნობაზე, აზრის გამოთქმაზე სკოლაშიც და ოჯახშიც. მხოლოდ უფროსის აზრი იყო მნიშვნელოვანი. ბავშვი მორჩილი უნდა ყოფილიყო.“  
ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„უფროსის სიტყვა კანონი იყო, მისი ერთი გამოხედვით, უსიტყვოდ უნდა მიმხვდარიყო ბავშვი რა უნდოდა მშობელს“  
ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

### დამოკიდებულება ბავშვის მიმართ - ბავშვი როგორც ინვესტიცია

ბავშვისადმი, როგორც მომავალში მატერიალური თუ ფსიქოლოგიური სარგებლის მომტანისადმი დამოკიდებულება გავრცელებულია. შვილი ისეთი უნდა გაზარდო რომ სიბერეში დაგიფასოს, ამაგი გადაგიხადოს.

*„მშობელი ფიქრობს რომ შვილმა რომელსაც დიდი რესურსი მაქვს კეთილი უნდა ინებოს და მომიტანოს სარგებელი მომავალში, მარჩინოს, მომიაროს, შემეძლოს მისით ვიამაყო...“*

*ფსიქოლოგი*

*„საქართველოში გავრცელებულია აზრი რომ შვილი გჭირდება იმისთვის რომ სიბერეში მოგხედოს.“*

*„ბავშვი ჩვენი ინვესტიციაა. თუ კარგად გავზრდით ჩვენთვისვე იქნება კარგი.“  
ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

### აღზრდის ავტორიტარული სტილი

ძალადობის საფუძველია აღზრდის ავტორიტარული სტილი. ასეთ დროს მშობელი აბსოლუტურადაა დარწმუნებული საკუთარ მართებულ ხედვაში და ღირებულებებში, ცდილობს მისი აზრით „სწორ“ გზაზე დააყენოს ბავშვი. მშობლებს აქვთ ჩამოყალიბებული სქემა, თუ როგორი უნდა იყოს მათი შვილი, მისი მომავალი. კეთილდღეობის გამზადებული ფორმულები. მშობელი ფიქრობს რომ ყველაფერს აკეთებს მისი კეთილდღეობისთვის და ამიტომაც ამართლებს ძალადობას.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების უმრავლესობა თანხმდება, რომ ბავშვობის დროს მათ არ ჰქონდათ უფროსის სიტყვის წინააღმდეგ წასულის, არჩევანია უფლება. უფროსი იყო ყოველთვის მართალი, მაშინაც კი როცა არ იყო მართალი.

*"ადრე არავინ კითხულობდა მოსწონდა თუ არა ბავშვს რამე, მკაცრად იყო განსაზღვრული რა იყო კარგი და რა ცუდი. ხშირად არც იცოდა დედამ რა მოსწონდა მის შვილს"*

*ფსიქოლოგი*

*„დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, რომ ვიტყვი მდინარე აღმა მიდის, შენ რაკრაკით უნდა გაიმეორო“.*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

**ძალადობის აღქმის ზღურბლი - განსხვავებული აღქმა არსებობს იმისა თუ რა არის ძალადობა.**

საზოგადოების დიდი ნაწილი არ აღიქვამს ძალადობის შედარებით რბილ ფორმებს ძალადობად: ყურის აწევას, კეფაზე წამორტყმას, თმის მოწიწკვნას, კუთხეში დაყენებას.

ბულინგი სკოლაში თანატოლების მიერ ასევე არ აღიქმებოდა ძალადობად.

მშობლების უმრავლესობა თვლის რომ ძალადობა ცუდია, თუმცა იმის გამო რომ მშობლები მკაცრ აღზრდას არ მიიჩნევენ ძალადობად, მკაცრი აღზრდის სხვადასხვა ფორმების მიმართაც არ აქვთ ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება.

ხშირად ფსიქოლოგიური ძალადობა, იძულება, მუქარა, გამუდმებული კრიტიკა, დამცირება, აღზრდის ძალიან გავრცელებული მეთოდები, ასევე არ აღიქმება ძალადობად.

**ძალადობის აღქმა - ძალადობა ცუდია მაგრამ ხანდახან საჭიროა „კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს“**

თუ ბავშვი არ ამართლებს მშობლის მოლოდინს, არ არის დამჯერი, მორჩილი, არ შეესაბამება მშობლის წარმოდგენებს „კარგი ბავშვის“ შესახებ, არ ჰგავს ყველას, ასეთ შემთხვევაში მშობელი / უფროსი მიმართავს ძალადობის ამათუიმ ფორმას.

*„მშობლისთვის ბავშვის „ჭკუაზე მოყვანის“ ყველაზე მარტივი გზა არის ძალადობა, ამას არ სჭირდება დიდი დრო, დიდი ჭკუა“.*

*ფსიქოლოგი*

*„ერთი კაცი სოფელში მეუბნებოდა, ბავშვი თუ არ ცემე ხანდახან ის შეიძლება კარგი ვერ გაიზარდოსო.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

ბავშვზე ძალადობის დროს მნიშვნელოვანია რომ პასუხისმგებლობის გადატანა ხდება მსხვერპლზე. ძალადობის ობიექტია დამნაშავე რომ ძალადობა გამოიწვია.

*„ქართულ მეტყველებაში გავრცელებული „გამალახინა თავი“, „შემომელახა“, „არ მოისვენა სანამ არ ვცემე“, გვიჩვენებს რომ მოძალადე პასუხისმგებლობას ძალადობაზე მსხვერპლს აკისრებს“.*

*ფსიქოლოგი*

*„ხშირად მომისმენია მშობლისგან „ამას სხვანაირად ვერ გავაგებინებ, თუ არ ვცემე“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

მშობელი თავს მიიჩნევს ვალდებულად იყოს მკაცრი, გამოიყენოს აღზრდის ძალადობრივი მეთოდები. საზოგადოება ელის მშობლისგან რომ ის იქნება მკაცრი, მიაჩვენებს დისციპლინას ბავშვს, თუნდაც ამისთვის დასჭირდეს ფიზიკური ძალადობის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ჩათვლის რომ ის არის სუსტი, ცუდი მშობელი და გაიკიცხება.

## **ძალადობის მსხვერპლი ამართლებს მოძალადის საქციელს კეთილი ზრახვებით**

ძალადობრივი მეთოდების გამოყენების გამართლება ხდება კეთილი ზრახვებით.

*„ყველას გვსმენია, მე თუ მამაჩემი მცემდა რა კარგი არ გავიზარდე? ჩემთვის კარგი უნდოდა და იმიტომ მცემდა“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*



### აღზრდისას მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირება

აღზრდელელებში არ არსებობს იმის რწმენა, რომ აღზრდის არამაღალდობრივი მეთოდების გამოყენება უფრო მომგებიანია გრძელვადიან პერსპექტივაში. წახალისების მეთოდი დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ადამიანებს ურჩევნია მარტივი გზებით მიაღწიოს მოკლევადიან შედეგს. ძალადობის ერთ ერთი უარყოფითი შედეგი ისაა, რომ ბავშვი შეიძლება არ იქცეოდეს ცუდად, მაგრამ მხოლოდ დასჯის შიშით. როგორც კი გამოვა სიტუაციიდან სადაც არ ემუქრება დასჯა, თვითონ გამოიჩენს ძალადობას მასზე სუსტის მიმართ.

*„მშობლისთვის / მასწავლებლისთვის ბავშვის ურჩობისას ძალადობის გამოყენება არის პრობლემის „მოგვარების“ მარტივი გზა. ის რომ ერთს მიტყობავ ბავშვს და პრობლემა მოგვარებულია ძალიან მაცდურია აღზრდელისთვის.“*

*ფსიქოლოგი*

### აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ ცოდნის ნაკლებობა

ახალგაზრდა მშობლები, ვისთვისაც მიუღებელია აღზრდისას ფიზიკური ძალადობის მეთოდების გამოყენება, დარწმუნებულები არიან „წამორტყმა შედეგიანი არ არის“. ზოგმა მათგანმა აღიარა რომ უცდიათ კიდევ ძალადობა, მაგრამ სასურველი შედეგი არ მოუტანია. ასეთი მშობლები შვილების დასასჯელად ყველაზე ხშირად იყენებენ შემდეგ მეთოდებს:

- კომპიუტერთან თამაშის აკრძალვა
- ეზოში სათამაშოდ არ გაშვება
- მობილურის დროებითი ჩამორთმევა
- გაბუტვა

დარწმუნების მეთოდის ეფექტურობაზე უმრავლესობა თანხმდებოდა, თუმცა აღიარებენ რომ მშობელს ყოველთვის „არ აქვს ამის თავი და ნერვები“.

სხვების მაგალითზე ჰყვებიან რომ მოძალადე მშობლები დარწმუნებულები არიან რომ არამაღალდობრივი მეთოდები მათ შვილთან შედეგის მომტანი არ იქნება, რომ „ამასთან სხვა არაფერი ჭრის“. ეს მიუთითებს რომ მშობლები არ იცნობენ პოზიტიური აღზრდის მეთოდებს. არ იციან როგორ „გაუმკლავდნენ ურჩ შვილებს“.

*„ვფიქრობდი, რომ დედასავით მკაცრად არ გავზრდიდი შვილებს, უფრო მეგობრული დედა ვიქნებოდი, თეორიულად ვიცი რომ დედა არ უნდა იყოს ასეთი მკაცრი. მაგრამ ახლა როცა დედა ვარ და ჩემი შვილები რამეს აშავებენ, ვერ ვხდები სად გადის ზღვარი, სადამდე უნდა მივცე თავისუფლება, არ ვიცი როგორ უნდა მოვიქცე.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*



### ბავშვებისადმი დამოკიდებულება პატრიარქალურ საზოგადოებაში

ბავშვთა მიმართ დამოკიდებულებას დიდწილად განსაზღვრავს პატრიარქალური საზოგადების ფარგლებში ჩამოყალიბებული დამოკიდებულება. მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციისა დღემდე ძალაშია ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ბავშვის პიროვნებად არ აღიარება.

*„საქართველოში ბავშვისადმი მერკანტილური დამოკიდებულებაა, ის უნდათ რაღაც მიზნისათვის, ის თავისთვის არ არის, მან რაღაც უნდა გააკეთოს და საბოლოოდ როცა მშობლები დაბერდებიან მათ უნდა მოუაროს. ეს ჩვეულებრივ პატრიარქალური საზოგადების შეხედულებაა ბავშვების მიმართ. შუა საუკუნეებში ბავშვი ღირებულებას არც წარმოადგენდა.*

*მაშინდელი მაღალი სიკვდილიანობის პირობებში ბავშვი ღირებულად ითვლებოდა მას შემდეგ რაც ის გადარჩებოდა და მიაღწევდა 12-13 წლის ასაკს. საქართველოში თუმცა ბავშვი ძალიან უყვართ, მაგრამ გარკვეულ ასაკამდე პიროვნებად არ ითვლება.“*

ფსიქოლოგი

### სხვა მიგნებები

#### საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები

ოჯახში ბავშვის უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ დამოკიდებულება თანდათან იცვლება საზოგადოებაში.

*„ადრე სკოლაში მასწავლებელს შეეძლო კუთხეში დაეყენებინა ბავშვი, კლასიდან გაეგდო, ჯოხი გამოეყენებინა. დღეს ამის უფლება არ აქვთ პედაგოგებს, სკოლა უფრო მეტადაა ბავშვებზე ორიენტირებული“*

ახალგაზრდა მშობლები თვლიან ბავშვს მეტი თავისუფლება უნდა მისცე აღზრდისას. საჭიროა მისი აზრის გათვალისწინება, არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. თავად ბავშვებიც ითხოვენ მეტ თავისუფლებას და თანასწორ დამოკიდებულებას.

*„მე რაც არ მომწონდა ჩემი მშობლების აღზრდის სტილში, იგივეს ჩემს შვილებთან არ ვაკეთებ. არ ვზღუდავ ჩემს შვილს.“*

*„ახლა გაცილებით თავისუფლები არიან ბავშვები. ადრე შენს აზრს არავინ კითხულობდა, ახლა ვცდილობ ჩემი შვილის აზრი გავიზიარო.“*

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

## რეფერენტული ჯგუფი

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს ვეკითხებოდით, ვის აზრს აქვს მათთვის მნიშვნელობა, როცა იღებენ გადაწყვეტილებას ბავშვის აღზრდის საკითხების შესახებ. საინტერესოა რომ მონაწილეების უმრავლესობა აცხადებდა, რომ თუ პრობლემურ სიტუაციაში პირველ რიგში მათ აინტერესებთ საკუთარი მეგობრების, ახლობლების გამოცდილება, ვისაც ჰყავს ან ცოტა ხნის წინ ჰყავდა დაახლოებით იგივე ასაკის ბავშვი. ასეთი პოზიცია უფრო მეტად ქალ მონაწილეებს ჰქონდათ. კაცების ნაწილი აცხადებდა რომ მათთვის მნიშვნელობა აქვს მშობლების აზრსაც (ბავშვის ბებია ბაბუა).

*„მე მშობლების აზრი არ მაინტერესებს, უფრო მაინტერესებს ჩემი მეგობრების აზრი, რომლებსაც ჰყავთ შვილები და ეს გზა გავლილი აქვთ.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე (ქალი)*

*„მარტო ვცხოვრობთ მშობლების გარეშე, ძირითადად საკუთარ აზრს ვეყრდნობით, თუმცა მშობლების აზრიც ძალიან მნიშვნელოვანია.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე (მამაკაცი)*

მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ასევე ინტერესდებიან პროფესიონალების მოსაზრებებით (ფსიქოლოგების, ექიმების, ფსიქოთერაპევტების), ეძებენ ინფორმაციას ინტერნეტში. თუ საშუალება აქვთ რომ პირადად გაესაუბრონ ფსიქოლოგს ამ შესაძლებლობასაც იყენებენ, თუმცა ეს უფრო გამონაკლისია ვიდრე გავრცელებული პრაქტიკა.

## სად უფრო გავრცელებულია ძალადობა

აღზრდის ძალადობრივი მეთოდები უფრო მეტად გავრცელებულია სოფლის / დაბის ტიპის დასახლებებში. ამის მტკიცების საფუძველს მონაწილეებს აძლევთ ის, რომ მათ პირადად უფრო მეტად ახსენდებოდათ სოფელში მომხდარი ძალადობის ფაქტები. თუმცა აღიარებენ იმასაც, რომ შესაძლოა ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ ქალაქში უფრო ნაკლებად ხილვადია სხვა ოჯახების პირადი ცხოვრება.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, არ არის მნიშვნელოვანი განსხვავებები ქრისტიან და მუსლიმ ოჯახებს შორის ბავშვისადმი ძალადობის კუთხით, განსხვავება თაობებს შორის უფრო დიდია ვიდრე რელიგიური ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით.

მთავარი განსხვავებები ქრისტიან და მუსლიმ ოჯახებს შორის არის არასრულწლოვან გოგონათა გათხოვების ნორმა, რომელიც დისკუსიების მონაწილეების აზრით, ბოლო დროს შემცირდა, თუმცა სოფლებში ჯერ კიდევ ხშირია.

*„მაინც ხდება არასრულწლოვნების დაქორწინება მშობლების მიერ, არავინ არ უჩივლებს, თვითონაც ასე არიან გაზრდილები, ბავშვებიც, მშობლებიც, ნათესავებიც და მეზობლებიც. თავადაც ასე გაათხოვებენ გოგოებს. გოგო თუ გააპროტესტებს, ოჯახში თუ არ გააგდეს, ზეწოლა იქნება მუდმივი.“*

*„ადრე გოგო ან სკოლის ასაკში ან სკოლის დამთავრებისთანავე უნდა გათხოვილიყო, ახლა იციან რომ უნდა ისწავლოს, განათლება მიიღოს და მერე შექმნას ოჯახი. ეს განათლებამ უფრო მოიტანა, ვიდრე კანონმა.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

### **ვინაა ოჯახში მოძალადე**

როგორც რაოდენობრივი კვლევის მონაცემების (UNICEF 2013) ისე ფოკუს ჯგუფისა და ექსპერტების სამუშაო შეხვედრების შედეგების მიხედვით ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა ფორმებს უფრო ხშირად მიმართავენ დედები. დედები თვლიან, რომ მათ აქვთ მეტი პასუხისმგებლობა დაკისრებული შვილის გაზრდაზე, მამა უკეთეს შემთხვევაში 1-2 საათს ატარებს შვილებთან და ამ პერიოდში ცდილობს რომ კარგი მამა იყოს, მოეფეროს შვილს გაათამამოს. თუმცა თუ საქმე გვაქვს ძალადობის მძიმე ფორმებთან, მაშინ როგორც წესი ესაა მამა.

*„ცემის ფუნქცია დედას აქვს უფრო შეთავსებული, თუმცა არიან მამები, რომლებიც უფრო მაგრად ცემენ.“*  
*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

### **გენდერული განსხვავებები აღზრდაში**

ბიჭების და გოგოების აღზრდის სტილს შორის მთავარი განსხვავება დისკუსიის მონაწილეების აზრით, არის ის რომ გოგოების აღზრდისას კვლავ ცდილობენ გენდერულ-როლური სტერეოტიპების დამკვიდრებას, გოგოს როგორც ოჯახის წევრებზე მზრუნველს, დედის დამხმარეს, საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებელს.

*„გოგოებს უფრო მეტს ავალებენ, თუნდაც ის მეცადინეობდეს, ძმას და მამას რამე თუ დასჭირდა (წყალი, სადილი...) გოგოს უფრო დაავალებენ. მე 4 ძმა მყავდა და მე მავალებდნენ ყველაფერს, იმიტომ რომ შენ გოგო ხარო.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

ზოგ შემთხვევაში ოჯახურ საქმეებში დახმარება ბავშვს ხელს უშლის განათლების მიღებაშიც, ბავშვების ექსპლუატაცია უფრო მეტად სოფლის ტიპის დასახლებაში გვხვდება. სოფლის ტიპის დასახლებებში ბიჭების ჩართვა ხდება სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში, ხშირად საკმაოდ მძიმე შრომაშიც.

ოჯახში გოგოს მეტი აკრძალვები აქვს, ჩაცმაზე, გარეგნობაზე, სახლში დაბრუნების დასაშვებ დროზე, სასიყვარულო ურთიერთობების დაწყების დროზე და ფორმაზე.

### ძალადობა ბავშვთა აღზრდის დაწესებულებებში

ჯგუფის მონაწილეები თანხმდებიან, რომ სკოლაში შემცირდა მასწავლებლების მხრიდან ძალადობის ფაქტები, ადრე თუ მასწავლებლის მხრიდან ჩვეულებრივი მოვლენა იყო ყურის აწევა, თმის მოწიწკვნა, კუთხეში დაყენება, კლასიდან გაგდება, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და ა.შ. ამჟამად „ამის უფლება მასწავლებელს ჩამოართვეს“. ეს პროცესი დაიწყო 90-იანი წლების შემდეგ, თუმცა სკოლებში მანდატურების შემოღებამ შეუწყო ხელი მასწავლებლების მხრიდან ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის შემცირებას. თუმცა ცხადია ჯერ კიდევ არსებობს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეზე ძალადობის შემთხვევები.

მასწავლებელმა იცის რომ ძალადობა არ შეიძლება, და მოსწავლეს კანონი იცავს, მაგრამ არ იცის როგორ მიაღწიოს დისციპლინას კლასში არამაღალდობრივი მეთოდებით, რის გამოც სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს ნორმალურად.

### ძალადობაზე რეაგირება / შეტყობინება

მისაღები ძალადობის ზღვარი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსხვავებულია. თუმცა მაშინაც კი როცა ძალადობის ყველასთვის მიუღებელ ფორმასთან გვაქვს საქმე რეაგირება ძალადობაზე არის დაბალი.

*„მე შევესწარი ერთხელ ძალადობას და ვერაფერი მოვიმოქმედე. მე ჩავთვალე რომ ეს მისი პრობლემა იყო, ძალიან მომეშალა ნერვები, მაგრამ მაინც არ ჩავერიე. ისეთ სიტუაციამდე არ მისულა საქმე რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ყოფილიყო, ასეთ სიტუაციაში ჩავერიეოდი, მაგრამ ცემის ფაქტზე არ ჩავერიე, ალბათ არასწორად მოვიქეცი.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

## რა ამყარებს ძალადობაზე არ რეაგირების სოციალურ ნორმას

### სხვის საქმეში, სხვის ოჯახში ჩარევა ცუდ ტონად ითვლება (საზოგადოების მიერ გაკიცხვის შიში)

ძალადობას საზოგადოებაში ამტკიცებს ძალადობაზე რეაგირების დაბალი დონე, რომელსაც თავის მხრივ განაპირობებს ის მოსაზრება რომ სხვის ოჯახში ჩარევა ცუდი ტონია.

სხვის ოჯახის საქმეში ჩაურევლობა, როგორც ქცევის სოციალური ნორმა არის ერთ ერთი მთავარი მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან. ინდივიდს ეშინია „არ დაკარგოს საზოგადოების თვალში „კარგი ტიპის“ იმიჯი, არ უნდა დაუპირისპირდეს იმ ჯგუფს, რომელთანაც იდენტიფიკაციას გრძნობს (რეფერენტული ჯგუფი), ეშინია ჯგუფიდან გარიყვის. საზოგადოების მხრიდან ასეთი დაკვეთა გამომდინარეობს იქიდან რომ საზოგადოების თითოეული წევრი ასევე თვლის რომ მისი ოჯახის საქმეშიც არ უნდა ჩაერიონ. ესაა საზოგადოებრივი ინსტიტუტის, ოჯახის დაცვის მცდელობა.

ძალადობის მოწმეს ეშინია რომ რეაგირების შემთხვევაში გაკიცხება არა მარტო მოძალადისგან, არამედ საზოგადოებისგან, მეზობლისგან, თანამშრომლებისგან.

*„თუ არ იქნება საგანგაშო შემთხვევა და მძიმე მდგომარეობა, მე არ მივმართავ პოლიციას, არ მივმართავ სოციალურ სამსახურს იმიტომ რომ ეს ოჯახის საქმეა და ოჯახის საქმეში ვერ ჩავერევი.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„მე არასოდეს ჩავერევი. ჩემი საქმე არ არის, ეს მისი შვილია და მისი საზომი აქვს აღზრდის და ის რასაც დათესავს, იმას მოიმკის.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„მე რამდენჯერაც შენიშვნა მივეცი როცა შევესწარი ცემას, იმდენჯერ მივიღე პასუხი „ჩემი შვილია შენი ხომ არა“ რა შენი საქმეაო, შენ ვინ გკითხავსო, ისე უხერხულ სიტუაციაში ჩავარდი ხალხი იყო, შემრცხვა.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„ქუჩაში ვნახე ბავშვს ისე ამოარტყა დედამ პანლური, ჰაერში ავარდა ბავშვი, რომ მივვარდი და ვუთხარი რას შვრები-თქო, მითხრა რა შენი საქმეაო.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„რომ ვნახო ბავშვს სცემენ, დავაწყნარებ, გავაშველებ. ოღონდ ვერ დავარიგებ, სხვის საქმეში ჩარევა არ მიყვარს.*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„სხვის საქმეში ჩაურევლობა“ ახალისებს ძალადობის ნებისმიერ ფორმას, ძალადობას ქალზე, ძალადობას ქუჩაში, სკოლაში...“*

*ფსიქოლოგი*

ძალადობაზე რეაგირებისთვის მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა სიმძიმის ძალადობის მომსწრე ხდება ადამიანი. თუ ეს არის სიცოცხლისთვის საშიში / ჯანმრთელობის დაზიანების მომტანი ძალადობის ფაქტი, მაშინ უმეტესობა თანხმდება რომ აუცილებლად ჩაერევა შესაძლებლობის ფარგლებში. ჩარევა შეიძლება იყოს გაშველება, დაშოშმინება, დაშინება პოლიციით. ჩარევის ეს ფორმები მიმართულია იქითკენ რომ იმ მომენტში განმუხტოს სიტუაცია და მსხვერპლი გადაარჩინოს.

*„თუ გასაშველებელია მაშინ მეც ჩავერევი, მაგრამ როცა ნაკლებად რთული სიტუაციაა ვერა“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

### **მოდალადის შიში - „გამშველებელს მეტი მოხვდაო“**

პროფესიონალები, რომლებიც მუშაობენ ძალადობის საკითხებზე თვლიან, რომ ადამიანები თავს იკავებენ რეაგირებისგან, რადგან ეშინიათ თვითონ არ გახდნენ ძალადობის ობიექტი.

*„რომ ჩავრეულიყავი, შეიძლება მოტრიალებულიყო და შენ ვინ გკითხავსო და მერე შეიძლება ჩვენს შორის მომხდარიყო რამე, და ამიტომაც თავი შევიკავე.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

*„მე როცა შევესწარი მცირეწლოვან შვილს როგორ გაართყა დედამ, ძალიან მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე, მხოლოდ მიმიკით გამოვხატე ჩემი უკმაყოფილება. ისეთი გოგო ჩანდა რომ თუ თმებით არ მითრევდა, აუცილებლად გამლანძღავდა. ჩავთვალე რომ აზრი არ ჰქონდა.“*

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*



**ემპირიული / ფაქტობრივი რწმენები- გამოძახების შემთხვევაში პოლიცია არ იქცევა შესაბამისად, (დამცავი სტრუქტურებისადმი ნდობის ნაკლებობა)**

პოლიციის გამოძახების მიმართ არაცალსახა დამოკიდებულება გამოვლინდა. ერთის მხრივ მონაწილეები აცნობიერებდნენ, რომ რთულ სიტუაციაში უმჯობესია მიმართო სამართალდამცავ ორგანოებს, მეორეს მხრივ კი თვლიან რომ არანაირი შედეგი არ ექნება პოლიციის ჩარევას, რომ პოლიციას არანაირი ბერკეტი არ აქვთ შემდგომი ძალადობა აღკვეთონ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, ძალადობის თვითმხილველის მიერ პოლიციის გამოძახებისას არ ხდება პოლიციის მიერ ადეკვატური რეაგირება. მოწმე არ ენდობა პოლიციას, მის კომპეტენციას, არ არის დარწმუნებული რომ რეაგირების შემთხვევაში სასურველი შედეგი დადგება.

„პატრული რომ მოდის გეუბნება ნეტა მოგცლია, ოჯახის საქმეა მორიგდებიანო.“

პატრულის გამოძახებისას არ არის მოწმე დარწმუნებული რომ მისი ვინაობა ანონიმური დარჩება. დისკუსიის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ანონიმურობის დარღვევას თავად შეხვედრიან. ასეთი შემთხვევები კი ამცირებს იმის ალბათობას, რომ მომავალში კვლავ გამოიძახებენ პატრულს.

„*მე გამოვიძახე ერთხელ პატრული, მოძალადემ ჰკითხა პატრულს ვინ დაგირეკათო და პატრულმა ჩემი ნომერი აჩვენა, პატრულს არ უნდა ეთქვა ჩემი ნომერი.*“

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

„*პატრული კარგი ტიპი გამოდის, ეუბნება მოძალადეს, მე რა ვქნა აგერ ამათ გიჩივლათ. იმის მაგივრად საქმეს მიხედონ, დაკითხვას გიწყობენ რომ რეკავ, ვინ ხარ, რატომ რეკავ. იქნებ ანონიმად მინდა დარჩენა. მაგრამ არ იცავენ ანონიმურობას.*“

*ფოკუს ჯგუფის მონაწილე*

**ძალადობის მსხვერპლის დაცვის სოციალურ სერვისებზე ინფორმაციის არ ქონა**

საზოგადოება არ არის ინფორმირებული რა მოჰყვება პატრულის გამოძახებას. არ არის დარწმუნებული, რომ სოციალური სამსახური მზადაა ეფექტურად მოაგვაროს ეს პრობლემა. ასეთი ვითარება ამცირებს შანსს რომ ძალადობის შემთხვევაში მოწმე განაცხადებს შესაბამის ორგანოებთან. არ არსებობს იმის რწმენა რომ რეაგირებას ექნება შედეგი.

„ძალადობის სიმბიმეს გააჩნია, ყველაფერზე ხომ არ დარეკავ პატრულში. საკანონმდებლო სივრცე არ გვივარგა, ფსიქოლოგების ჩართვაა საჭირო, მსუბუქი ძალადობისას კი არ უნდა დაიჭირო, რეაბილიტაციაზე უნდა იფიქრო.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

„დავუშვათ გამოვიძახეთ პატრული, რა მოჰყვება ამას? არ ვართ ინფორმირებული. რაც არ იცი, ერიდები იმას.“

ფოკუს ჯგუფის მონაწილე

### განმეორებითი ძალადობის შიში

ძალადობის მოწმე თვლის, რომ შეიძლება ჩარევის შემთხვევაში მოძალადე შემდგომში უარესად, გაორმაგებულად იძალადებს მსხვერპლზე. ამ მოსაზრებას ამყარებს ემპირიული გამოცდილება ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ხშირია შემთხვევები როცა ძალადობის მსხვერპლი რეაგირების გამო შემდგომში უარესად დასჯილა.

*„ოჯახური ძალადობის დაფიქსირების შემდეგ, ქალბატონი ბავშვთან ერთად მიმართავს თავშესაფარს, რამდენიმე დღის შემდეგ კი ის ისევ ბრუნდება ოჯახში მოძალადესთან და ის გაორმაგებულად სჯის ცოლს, იმის გამო რომ წავიდა ოჯახიდან თავშესაფარში. მეზობელს უკვე აღარ სჯერა იმისი, რომ ის რომ ჩაერიოს ეს უკან არ დაბრუნდება.“*

ფსიქოლოგი



## დასკვნა

მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვლენილ მიგნებებზე დაყრდნობით ბავშვთა მიმართ ძალადობის განმაპირობებელი სოციალური ნორმების თაობაზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ბავშვთა მიმართ ძალადობის მნიშვნელოვანი შემცირება, საზოგადოების მიერ ამ მოვლენის სრულად აღქმა (გაცნობიერება, რომ ყოველდღიური „ფონური“ ფიზიკური ძალის გამოყენებაც ძალადობის სახეა) და ნეგატიური განწყობის ფორმირება შეუძლებელია ამ ნორმების საფუძვლად არსებული სოციალური ნორმების ტრანსფორმაციის გარეშე;
- ბავშვზე ძალადობისას, გარდა ექსტრემალური ძალადობის შემთხვევებისა (ზოგჯერ ამ შემთხვევებშიც კი) მშობელი, თუ სხვა მზრუნველი მეტწილად დარწმუნებულია, რომ ძალისმიერი ზემოქმედებით საბოლოო ჯამში ბავშვზე დადებით გავლენას ახდენს, აღკვეთს ბავშვის მიერ ჩადენილ შეუსაბამო ქცევას, ქმნის წინაპირობას რომ მსგავსი ქცევა მომავალში არ განმეორდება და აახლოებს ბავშვის ქცევას საზოგადოების მიერ აღიარებულ „ეტალონთან“;
- მშობლები და ბავშვზე მზრუნველი სხვა პერსონები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი მკაცრი აღზრდის გრძელვადიანი ნეგატიური შედეგების, დასჯის მოკლევადიანი ეფექტის, აღზრდის პოზიტიური მეთოდებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ;
- პრობლემის გაცნობიერება, გრძელვადიან პერსპექტივაში მკაცრი და პოზიტიური აღზრდის სტილის ეფექტის დემონსტრირება შესაძლოა იქცეს სოციალური ნორმების ტრანსფორმაციის წინაპირობად, რადგან საბოლოო ჯამში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებებს შორის არ არის განსხვავება იმის თაობაზე, რომ აღზრდის პროცესი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ინტერესებს და იყოს მისი სრულფასოვან და ჰარმონიულ პიროვნებად ჩამოყალიბების წინაპირობა. ამ მიზანსა და გამოყენებულ მეთოდებს შორის ლოგიკური შეუსაბამობის გამოვლენა არის ალტერნატიული მოდელის არსებობის აუცილებლობის გაცნობიერების და მისი შექმნის სტიმულირების ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი;
- სოციალური ნორმების ტრანსფორმაციისთვის საჭიროა აგრეთვე ემოციური კომპონენტის ჩართვა და საზოგადოებისთვის ბავშვზე განხორციელებული ძალადობის ტრავმული ეფექტის დემონსტრირება;
- მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ძალადობის მოწმეთა წახალისება ძალადობის ფაქტებზე რეაგირების გააქტიურებისთვის. აღნიშნული მიზნისთვის აუცილებელია პოზიტიური მაგალითების დემონსტრირება და ბავშვის ინტერესზე ზრუნვის პრიორიტეტის დამკვიდრება ოჯახის საქმეში ჩაურევლობის პრინციპის საპირწონედ;

- უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მომხდარი სოციალური ცვლილებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური ნორმების ცვლილება, შესაძლოა წარმოადგენდეს, როგორც მიზანმიმართული პოლიტიკის და კომუნიკაციის შედეგს (მაგ. უმცირესობებისადმი დამოკიდებულება, სადაც შესამჩნევია აგრესიის კლება), ასევე იყოს გარკვეული სოციალური ძვრების თანმხლები მოვლენა (მაგ. ქალთა ფინანსურმა დამოუკიდებლობის ზრდამ განაპირობა დამოუკიდებლობა პირად ცხოვრებაში, ქალური და კაცური საქმიანობის ნაკლებად ხისტი სეგრეგაცია.). მოცემულ მომენტში ბავშვთა მიმართ ძალადობის განმაპირობებელი სოციალური ნორმების ტრანსფორმაციაზე სახელმწიფოს პოლიტიკა, და მიზანმიმართულმა კომუნიკაციამ უნდა მოახდინოს რამდენიმე გავლენა რამდენიმე მიმართულებით: პრობლემის დაფიქსირება და ტრენდის დემონსტრირება, რომ პრობლემა დამლეულ უნდა იქნას; დისკუსიის ინიცირება - ინფორმირება; სანქციების დაწესება (არსებულის აქტუალიზაცია) და დასაბუთება.

## რეკომენდაციები სოციალური ნორმების ტრანსფორმაციისთვის

როგორც თეორიულ მიმოხილვაში იყო მოცემული პიროვნების ქცევაზე, იმაზე თუ რა ტიპის ქცევაზე გააკეთებს არჩევანს გავლენას ახდენს:

- პერსონალური დამოკიდებულებები, შეხედულებები (attitudes)
- ფაქტებზე დაფუძნებული რწმენები (factual beliefs)
- ნორმატიული რწმენები (normative beliefs)
- სოციალური მოლოდინები (ემპირიული ან/და ნორმატიული მოლოდინები)

მოცემული ფაქტორები ერთობლიობაში კვებავს / ამყარებს სოციალურ ნორმას.

იმისათვის რომ მოხდეს პიროვნების ქცევის ცვლილება საჭიროა მის განმსაზღვრელ ფაქტორებზე (რწმენები, დამოკიდებულებები და სოციალური მოლოდინები) მოვახდინოთ ზეგავლენა.

შესაბამისად ბავშვთა მიმართ ძალადობის როგორც სოციალურ ნორმის ტრანსფორმაციისთვის საკომუნიკაციო კამპანიის ამოცანა უნდა იყოს შემდეგი:

- იმ პერსონალური **დამოკიდებულებების (attitudes) ცვლილება**, რომლებიც ამყარებს მკაცრი აღზრდის სოციალურ ნორმას. პერსონალური დამოკიდებულებების ცვლილებაზე გავლენას ახდენს საგანმანათლებლო კამპანიები, მედია კამპანიები, ინტენსიური მიმართული კომუნიკაცია.

არსებული დამოკიდებულება (attitude)	სასურველი დამოკიდებულება (attitude)
ბავშვის არ არის მოზრდილის თანასწორი, ის უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მშობელს / უფროსს / მასწავლებელს	ბავშვს უნდა მოვეპყროთ როგორც თანასწორს, მოვისმინოთ და გავითვალისწინოთ მისი მოსაზრებები, სურვილები
ბავშვი არ არის (სრულფასოვანი) პიროვნება, მას არ შეუძლია იცოდეს რა არის მისთვის კარგი; შეაფასოს საკუთარი ქმედების შედეგები. შესაბამისად მის ნაცვლად გადაწყვეტილება უნდა მიიღონ უფროსებმა	ბავშვი არის პიროვნება, რომელსაც აქვს უფლება თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებები. უფროსების მოვალეობა მსგავს შემთხვევებში ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება და ალტერნატიული გადაწყვეტილებების შედეგების ახსნაა.
კარგი ბავშვი არის „ნორმალური ბავშვი“, რომელიც არ განსხვავდება უმრავლესობისგან	თითოეული ბავშვი არის ინდივიდუალური, საჭიროა მისი ინდივიდუალობის განვითარება და მხარდაჭერა
„კარგი ბავშვი“ უნდა იყოს დამჯერი / მორჩილი	ბავშვის უპირობო მორჩილება არ უნდა იყოს აღზრდის მიზანი
ბავშვი არის მშობლისთვის ინვესტიცია, შვილი უნდა გამოგვადგეს სიბერეში	შვილის მომავლის მიმართ არ უნდა გვექონდეს ანგარებიანი დამოკიდებულება

ძალადობა არის გამართლებული „კეთილი ზრახვებით“	ძალადობის გამართლება არ შეიძლება „კარგი შვილის“ გაზრდის სურვილით
ძალადობის ე.წ. „მსუბუქი ფორმები“ არ შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად	ბავშვის ფიზიკური დასჯა ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა, ყველა ტიპის ძალადობა მიუღებელია
ხანდახან ბავშვის დასჯა არის გარდაუვალი რადგან ზოგიერთზე „სხვა მეთოდი არ ჭრის“	ბავშვის დასჯას მხოლოდ მოკლევადიანი შედეგი აქვს

- **ფაქტობრივი რწმენების (ფაქტებზე დაფუძნებული რწმენების) ცვლილება** - არგუმენტების, კონკრეტული მაგალითების, ექსპერტების მოსაზრებების, შესაბამისი კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, თუ რატომ არის ბავშვზე ძალადობა ნეგატიური შედეგების მომტანი როგორც ბავშვისთვის ისე საზოგადოებისთვის.

არსებული ფაქტობრივი რწმენა	ახალი ფაქტობრივი რწმენა
მკაცრი აღზრდის გარეშე ბავშვი „ფუჭდება“ (ამ რწმენას ამყარებს ის მოკლევადიანი შედეგი, რომელსაც მშობელი / აღზრდელი / მასწავლებელი აღწევს დასჯით).	მკაცრი აღზრდა / ძალადობრივი მეთოდების გამოყენება გრძელვადიან პერსპექტივაში ნეგატიურ შედეგებს იწვევს, როგორც ბავშვისთვის ისე საზოგადოებისთვის
ძალადობაზე რეაგირების შემთხვევაში მოძალადე გაორმაგებულად ძალადობს მსხვერპლზე (ამ რწმენას ამყარებს პირადი გამოცდილება ან მოსმენილი ისტორიები)	ძალადობაზე რეაგირების შემთხვევაში ბავშვის დაცვის ორგანოები შესაბამის დახმარებას გაუწევენ ძალადობის მსხვერპლს და იმუშავენ მოძალადეზე
ძალადობის შემთხვევაში პატრულის გამოძახებისას ჩემი ანონიმურობა დაცული არ არის	ძალადობის შემთხვევაში პატრულის გამოძახებისას ჩემი ანონიმურობა დაცული იქნება

- **ნორმატიული რწმენის ცვლილება (რწმენა რომელიც ეფუძნება საზოგადოებაში გავრცელებულ /მიღებულ მოსაზრებებს)**- ამ ნორმატიული რწმენაზე ზეგავლენა უნდა მოხდეს სამართლებრივი შეგნების ამაღლებით, იმის გაცნობიერებით რომ ბავშვზე მოძალადეც კანონდამრღვევია.

არსებული ნორმატიული რწმენა	ახალი ნორმატიული რწმენა
სხვის ოჯახში ჩარევა მიუღებელია	თუ ოჯახში ბავშვზე ძალადობა ხდება ეს სცილდება „ოჯახის საქმეს“ და ძალადობის შემსწრე უნდა ჩაერიოს ძალადობის აღმოფხვრის მიზნით.

- **სოციალური მოლოდინების ცვლილება (ემპირიული ან ნორმატიული მოლოდინები)**  
 მხოლოდ პერსონალური დამოკიდებულებების, ნორმატიული და ფაქტობრივი რწმენების ცვლილება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოხდეს სოციალური ნორმის ცვლილება ან ახალი ნორმის ჩამოყალიბება. არასაკმარისია კონკრეტული ადამიანი დავარწმუნოთ იმაში რომ „ძალადობა ცუდია“, ის ასევე უნდა დავარწმუნოთ რომ საზოგადოებაც (რეფერენტული ჯგუფი) ასევე თვლის (ნორმატიული მოლოდინის ცვლილება) და დავარწმუნოთ რომ სწორედ მოძალადე მშობელი / აღმზრდელი იქნება გაკიცხვის საგანი და არა ის მშობელი/აღმზრდელი რომელიც პოზიტიური აღზრდის მეთოდებს იყენებს.

ამისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოებამ გააცნობიეროს პრობლემა, თუ რა გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე სოციალურ მოლოდინები.

კომუნიკაციის პროცესში უნდა მოხდეს არსებული სოციალური მოლოდინებისგან განსხვავებული ქცევის / პოზიტიური მაგალითების ჩვენება. რადგან „ნორმატიული მოლოდინი“ იქმნება იმის საფუძველზე თუ „რას ელიან ჩემგან“ ინფორმაციის გავრცელება, დისკუსია ემსახურება შეთავაზებული მოდელის უპირატესობების დემონსტრირებას და განწყობის შექმნა-დაფიქსირებას, რომ ის მისაღებია სოციუმისთვის და მოცემულ მოდელზე გადასვლა მხარდაჭერილი იქნება სოციუმის მიერ. ინფორმაციის წყარო უნდა იყოს სანდო, ექსპერტული, ღიად ხდებოდეს პრობლემაზე მსჯელობა და მესიჯები უნდა იყოს კოორდინირებული და არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი.

არსებული სოციალური მოლოდინის ცვლილებისთვის მნიშვნელოვანია იმ აზრის გავრცელება რომ „ყველა ასე არ ფიქრობს“ და „ყველა ამას არ ელის შენგან“.

არსებული სოციალური მოლოდინი	შეცვლილი სოციალური მოლოდინი
მე თუ მკაცრად არ გავზრდი შვილს, საზოგადოების მხრიდან (ოჯახი, ნათესაობა, მეგობრები) გავიკიცხები, ჩავითვლები რომ ცუდი მშობელი/აღმზრდელი ვარ	საზოგადოება არ ელის ჩემგან რომ გამოვიყენებ აღზრდის მკაცრ მეთოდებს და მიესალმება თუ აღზრდისას გამოვიყენებ პოზიტიურ მეთოდებს.
მე თუ ჩავერევი სხვისი ოჯახის საქმეში ამის გამო გავიკიცხები, აღარ ვიქნები კარგი მეზობელი, მეგობარი	ძალადობაზე რეაგირების შემთხვევაში საზოგადოება ჩათვლის რომ მე მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი / მოვიქეცი სწორად.

სოციალური მოლოდინების ცვლილების პროცესი არის ხანგრძლივი პროცესი და მიიღწევა შესაცვლელ ნორმებზე საზოგადოებრივი წნეხის, სოციუმის მიერ შეთანხმებული ქცევის ნორმების დანერგვით და გავრცელებით.

## დანართები

### დანართი 1 მონაწიელეთა სია

პირველი შეხვედრა, 7 ნოემბერი

- ლია სარალიძე - პროექტის ექსპერტი
- მანანა ომარაშვილი - ფსიქოლოგი
- ქეთი გურჩიანი - ანთროპოლოგი
- ვახტანგ ნადარეიშვილი - ფსიქოლოგი
- ნატალია მჭედლიშვილი - ფსიქოლოგი
- ელენე ჯაფარიძე - სოციოლოგი
- ქეთი თავართქილაძე - ფსიქოლოგი
- მაია ქურციკიძე - გაეროს ბავშვთა ფონდი
- პიერ ფერი - გაეროს ბავშვთა ფონდი
- ქეთი ხატატიანი - ეიარსი
- მარინა იმერლიშვილი - ეიარსი
- გიგა ხარებავა - ჯეპრა
- კახა მალრაძე - ჯეპრა

2-ე შეხვედრა, 18 ნოემბერი

- იაგო კაჭკაჭიშვილი - სოციოლოგი
- ზურა მხეიძე - ფსიქოლოგი
- თინათინ ცერცვაძე - ფსიქოლოგი
- ირინა ტაბუციძე - ფსიქოლოგი
- ლელა ტყემელეშვილი - ფსიქოლოგი
- მაია ქურციკიძე - გაეროს ბავშვთა ფონდი
- ქეთი ხატატიანი - ეიარსი
- გიგა ხარებავა - ჯეპრა
- კახა მალრაძე - ჯეპრა
- ლაზარე გვიმრაძე - ჯეპრა

ინდივიდუალური ინტერვიუები: გაგა ნიჟარაძე, ფსიქოლოგი; გიგი თევზაძე, სოციოლოგი, ფილოსოფოსი.



## დანართი 2 ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო

**შესავალი:** ფოკუს ჯგუფის მიზანის და წესების გაცნობა

**ზოგადი ინფორმაცია:** მონაწილეების წარდგენა, ოჯახური სტატუსი, დასაქმების სტატუსი, ოჯახის სტატუსი, ბავშვები

**აღზრდის სტილი ახლა და ადრე**

- რა არის ძირითადი განსხვავება ბავშვის აღზრდის სტილში ახლა და ადრე (20 წლის წინ)?
- როგორ გზრდიდნენ მშობლები თქვენ? როგორ გაჩვენდნენ დისციპლინას?
- როგორ დაახასიათებდით კარგ მშობელს? კარგი დედა? კარგი მამა? როგორი უნდა იყოს კარგი ბავშვი?
- როცა ბავშვს აქვს რაიმე პრობლემა, ვისთან უფრო განიხილავს მას? დედა, მამა, დამმა, მეგობარი

**დისკუსია -რეფერენტული ჯგუფი**

- ვინ ან რა არის ინფორმაციის წყარო ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე?
- რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ ეს ინფორმაცია? რატომ?
- თქვენს ოჯახში ვინ წყვეტს როგორ აღზარდოთ ბავშვი, მის ჯანმრთელობის, განათლების და დისციპლინის საკითხებზე?
- ვისთან განიხილავთ ბავშვის აღზრდის საკითხებს?
- როგორ ფიქრობთ მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობაზე რა ახდენს გავლენას

**ფიზიკური დასჯის სახეები და კონტექსტი**

- რას ფიქრობენ საქართველოში / თქვენს უშუალო გარემოში მშობლები (დედა/მამა) ფიზიკურ დასჯაზე?
- რას მოიმიქმედებენ ადამიანები როცა ბავშვები ცელქობენ, ცუდად იქცევიან და არ უჯერებენ უფროსებს?
- როგორ ფიქრობთ რამდენად იყენებენ მშობლები ფიზიკური დასჯის მეთოდებს იმისათვის რომ ბავშვები მიაჩვიონ დისციპლინას?
  - სად გამოიყენებენ დასჯის მეთოდებს (სახლში, სკოლაში, სათამაშო მოედნებზე....) ფიზიკური დასჯა უფრო მეტად ხდება პრივატულ თუ საჯარო სივრცეში
  - მშობლების გარდა ვინაა პასუხისმგებელი ბავშვების აღზრდაზე, დისციპლინის ჩამოყალიბებაზე? ბებიებზე, დეიდები / მამიდები, მასწავლებლები... აქვთ მათ ფიზიკური დასჯის უფლება?
  - არსებობს თუ არა განსხვავება ღარიბ და მდიდარ ოჯახებს შორის ამ კუთხით, ქალაქურ და სოფლის დასახლებებში?
- რა არის ფიზიკური დასჯის გავრცელებული მეთოდები?
- როგორ ფიქრობთ არსებობს თუ არა განსხვავება გოგონების და ბიჭების აღზრდის მეთოდებში? თუ დიახ, რა სახის?

- რაც შეგეხებათ თქვენ, ბიჭი შვილის და გოგო შვილის შემთხვევაში იყენებთ თუ არა განსხვავებულ მეთოდებს? ის რაც ბიჭისთვისაა დასაშვები, არის თუ არა იგივე მისაღები გოგოსთვის?
- არის თუ არა ფიზიკური დასჯა აუცილებელი ფორმა იმისათვის რომ ბავშვი მიეჩვიოს დისციპლინას? როდის? რა სიტუაციებში?
- თუ დედა / მამა არ იყენებს ფიზიკური დასჯის მეთოდებს აღზრდაში შეიძლება ითქვას მათზე რომ ისინი კარგი მშობლების არიან?
- რა შეიძლება იფიქრონ მშობლებზე სხვებმა როდესაც ისინი ხედავენ რომ ბავშვის ცუდი საქციელის საპასუხოდ მშობლები იყენებენ კეფაზე წამორტყმა, ლოყაზე გალაწუნებას, ყურის მოქაჩვას, თმების მოწიწკვნას, ჯოხის დარტყმას
- გოგოები უფრო მეტად არიან ფიზიკური დასჯის ობიექტები თუ ბიჭები? თუ არსებობს განსხვავება, გთხოვთ აღწეროთ და ახსნათ რატომ არის ეს განსხვავება.
- ვინ არის დამნაშავე ასეთ სიტუაციაში (ფიზიკური დასჯის შემთხვევაში) ბავშვი თუ დამსჯელი?
- რა ასაკიდან რა ასაკამდე არის გამართლებული ბავშვების ფიზიკური დასჯა?

### **ფიზიკური დასჯის შედეგები**

- ჩვეულებრივ როგორ რეაგირებენ ბავშვები ფიზიკურ დასჯაზე?
- როგორია ფიზიკური დასჯის შედეგები (ბავშვები უჯერებენ მშობლებს, უფრო მეტად ურჩობენ თუ არანაირი შედეგი არ აქვს)
- რა პოზიტიური შედეგი მოაქვს დასჯას? ნეგატიური შედეგები?
- არსებობს თუ არა რაიმე ალტერნატიული მეთოდები სასურველი შედეგის მიღებისთვის?

### **ფიზიკური დასჯის სიხშირე და კანონმდებლობის ცოდნა**

- ბოლოს როდის იყავით მოზრდილის მხრიდან ბავშვზე ძალადობის მოწმე? აღწერეთ სიტუაცია.
  - როგორი იყო თქვენი რეაქცია? რას გრძნობდით? რა მოიმოქმედეთ?
  - როგორ იქცეოდნენ სხვები?
  - რა არის სწორი საქციელი ასეთ სიტუაციებში?
  - შეგეძლოთ გაგვეკეთებინათ ის რის გაკეთებაც თვლიდით რომ იყო საჭირო?
  - რა გიშლიდათ ხელს მოგემოქმედებინათ ის რისი გაკეთებაც გინდოდათ?
- რა შემთხვევაში არის ფიზიკური დასჯა გამართლებული? აღწერეთ სიტუაცია? (თუ საჭირო გახდა ვუკარნახოთ, მაგ.: ცუდი აკადემიური შედეგები, ბილწსიტყვაობა, ცელქობა...)
- არის თუ არა ფიზიკური დასჯა კანონიერი თუ ის გამოიყენება კონტროლის, დისციპლინის მისაღწევად, ბავშვის ქცევის გამოსასწორებლად?



### დანართი 3. დისკუსიის თემები

#### ბავშვებისადმი დამოკიდებულება და აღზრდის არსებული პრაქტიკა

- როგორია ბავშვის როლი და მისდამი დამოკიდებულება ოჯახში? რა თავისებურებები ახასიათებს ბავშვისადმი დამოკიდებულების მხრივ ქართულ კულტურას?
- რა ფაქტორები განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას აღზრდის მეთოდების მიმართ?
- დასჯა-წახალისების რა მეთოდებს იყენებენ იმ ოჯახებში, სადაც არ არის გავრცელებული ბავშვებზე ძალადობა?

#### ძალადობის აღქმა

- რა ფაქტორებზეა დამოკიდებული თუ რას აღიქვამს საზოგადოება ძალადობად ბავშვთა მიმართ? ვინ ითვლება საზოგადოებაში ბავშვზე მოძალადედ?
- რამდენად აღიქმება საზოგადოების მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა სახე ერთიან მოვლენად? (მაგ.: აღიქმება თუ არა ყურის მოქაჩვა, თმების მოწიწვკნა, უყურადღებობა, ფსიქიკური ძალადობა ბავშვზე ძალადობად?)

#### ძალადობაზე რეაგირება

- რა ბარიერები არსებობს ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის? რეაგირებაზე თავის არიდების გამამართლებელი პასუხებიდან რა არის რეალური და რა წარმოადგენს რაციონალიზაციას?
- რამ შეიძლება ხელი შეუწყოს მოქალაქეების მხრიდან ძალადობაზე აქტიურ რეაგირებას?

#### სოციალურ ნორმების ცვლილების გამოცდილება

- გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი აზრით უკანასკნელ წლებში (ათწლეულებში) საქართველოში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ნორმების ცვლილება? რა იყოს ამ ცვლილების ძირითადი გამომწვევი? რამდენად მნიშვნელოვანი იყო მიზანმიმართული კომუნიკაციის (სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან) ფაქტორი?
- გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი აზრით უკანასკნელ წლებში (ათწლეულებში) საქართველოში მომხდარი სოციალური ნორმების შეცვლის წარუმატებელი შემთხვევები? რა იყო წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები?

**წინააღმდეგობა სოციალური ნორმების ცვლილებების მიმართ**

- ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე ორიენტირებული კომუნიკაციის შედეგად რომელიც სოციალური ნორმების ცვლილება შეიძლება იყოს ყველაზე უფრო მისაღწევი?
- ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე ორიენტირებული კომუნიკაციის შედეგად რომელი სოციალური ნორმების ცვლილების მცდელობა გამოიწვევს მაქსიმალურ წინააღმდეგობას?
- რა არის ჯგუფური იგნორირების არსებობის გამომწვევი ფაქტორი? თქვენი აზრით რა შეუწყობს ამ მოვლენის დაძლევას?